

ერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიისათვის

ენათმეცნიერთა და ისტორიკოსთა გამოკვლევებიდან კარგა ხანია ცნობილია, რომ ლოკალურად ის ტერიტორია, სადაც ამჟამად გურულები და აქარლები არიან დასახლებული, ძველად ზანურ მოსახლეობას ეჭირა. „ლაზიკას ერთ დროს ეჭირა არა მხოლოდ ახლანდელი ლაზისტანი, არამედ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროც, ესლანდელი გურიით, სამეგრელოთი და იმერეთით“ (მარი, 1904,166). იგივე აზრი განავითარა შემდგომში ივ.ჯავახიშვილმა: „გურიის საგეოგრაფიო სახელების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ იმ ადგილას, სადაც ახლა გურულები ცხოვრობენ, წინათ მეგრულად მოსაუბრე ტომი უნდა სახლებულიყო. ბევრი სოფლისა და მდინარის სახელების მნიშვნელობის ახსნა მხოლოდ მეგრულის საშუალებით შეიძლება აიხსნას, ან არადა მათ ცხადი მეგრული დამახასიათებელი თვისებები აქვთ, მაგ. მთა ჭიხანჭირი - ჭიხა (ციხე), ჭუმათი, ჭყონაგვარი (ჭყონი-მუხა), მდ.ო-ჩხამური, ჩხომი-თევზი, როგორც ოკალმახე, ოქილაური, ჭყიში, ჭყიშაური, ჭანიეთი, მდ. გუბაზოული, მდ.კინტრიში, ონჭიკეთი, ონჯოხეთი... ამდაგვარი სახელების დარქმევა მთებისა და მდინარეებისათვის მხოლოდ მეგრულ-ლაზების ტომებს შეეძლო (ჯავახიშვილი, 1913,56).

როგორც ცნობილია, ტოპონიმთა ძირითადი ნაწილი უძველესი წარმომავლობისაა და მას არსებობის გრძელ მანძილზე იმდენი ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სემასიოლოგიური ცვლილებები განუცდია, რომ მრავალი მათგანი დღეს საიდუმლოების ბურუსითაა მოცული. ქვემოთ ჩვენ შევეხებით ტოპონიმ „ღვაზა“-ს შედგენილობას. იგი დასტურდება ადაძებებში (ხულოს რ-ნი) და გორგაძებში (ხულოს რ-ნი).

ლაზურში გვაქვს სიტყვა „ღვაზაჩა“, რაც „ყბაყურა“-ს აღნიშნავს. აშკარაა, ამავე მნიშვნელობით აქარულში დადასტურებული „ღაბუა“ - ზანურიდან მომდინარეობს და იგივეა, რაც „ღვაზარა“. აქარულში „ყბაყურა“-ს აღსანიშნავად იხმარება „ღაბუჯა“ || „ღაბუჩა“ (ბსკიდა, 1976,50). ღაბუჩაჲ || ღაბუა-ყბაყურა (ნიჟარაძე, 1971). გადატანითი მნიშვნელობით, აქარულში ღაბუჯაჲ (ღაბუაჲ) ეწოდება ქათამს, რომელსაც ნისკარტის გვერდით ორსავე მხარეზე უხვად აქვს ბურტყლი წამოზრდილი: „ღაბუჯაჲ ქათამი“ (ბსკიდა, 1973,5). საბას განმარტებით „ღაბუა“-ღაბუასი, ზოგი ფრინველი, რომელსაც ნისკარტქვეშ, ყელზე ბლომად აქვს ბუმბული.

ღაბუჯაჲ || ღაბუაჲ თხზული სახელი ჩანს: ღა-ბუ-ჯა-ჲ || ღა-ბუ-ა-ჲ. თუ ეს სწორია, მაშინ ღაბუჯა-ჲ || ღაბუაჲ უნდა შეესატყვისებოდეს ამავე მნიშვნელობით ლაზურში ხმარებულ სიტყვას: „ღვაბუჯა“.

ლაზურშიც ჩანს, რომ „ღვაბუჯა“ კომპოზიტია: ღვა-ბუჯ-ა. ლაზურ-მეგრულში ღვა იგივეა, რაც ქართულში ღაწვი (ჩიქობავა, 1938, 52). ხოლო ბუჯ უნდა შეესატყვისებოდეს „ბურჯ“-ს. მაშასადამე, „ღაბუა || ღაბუჯა“ უნდა მომდინარეობდეს „ღვაბუჯა“-დან და „ღაწვბურჯა“-ს ნიშნავს. ასეთ ინტერპრეტაციას ამართლებს ღაბუჩა||ღაბუას ეტიმოლოგიური ახსნაც (იხ. ქვემოთ ღაბუჩა).

„ღაბუჩაჲ უმფო ახალგაზრდებს ემართება“ (ბსკიდა, 1976, 49).

ქართული ენის სხვა დიალექტებში ღაბუა||ღაბუჩა ამ მნიშვნელობით არ გვხვდება. „ყბაყურა“-ს ლაზური სემანტიკური შესატყვისია თბზული სახელი: ღვაბა[რ]: ღვა-ბა[რ]-ა.

ღვა. როგორც „ღაბუჯა“-ს განმარტებისას ვთქვით, იგივე ღაწვია, მეორე კომპონენტი: ბა[რ]-ა (ობაუ) ნიშნავს გაბერვას, ბერვას (სხვა მნიშვნელობით, ბარა-ქარი). ობა[რ]უ-ქროლვა; ბარს-ქრის, გასივებას, სიმსივნეს ნიშნავს. რაც შეეხება მთელ კომპოზიტს „ღვაბაა“-იგი ასე უნდა განიმარტოს: ღაწვასივება. „ღვაბაელი გულუნ“-ღაწვასივებული დადის.

თუ ასეთი ახსნა სწორია, მაშინ „ყბაყურა“-ს მნიშვნელობით აქარულში ხმარებული „ღაბუა||ღაბუჩა“ უნდა იყოს იგივე ლაზური „ღვაბა[რ]-ა“.

რაც შეეხება „ღაბუჩა“-ს, რომელიც „ღაბუა-ს“ გვერდით არის მოხსენიებული ყბაყურა-ს მნიშვნელობით, იგი მისი ერთ-ერთი სახეცვლილება შეიძლება იყოს. „ღაბუჩაჲ“ იგივეა, რაც „ღაბუჯაჲ“, ღვაბუ(რ)ჯაჲ - ღაწვბურჯა.

ქართულში, ისევე როგორც მეგრულში, შესამჩნევია პაპლოლოგიის კვალი. ასე მაგალითად, სიტყვებში: მთავარანგელოზი - თარანგელოზი, სუროვანდი → სურანდი, ჭინჭი რჩე → ჭირჩე (უცუნა) (ცხადაია, 1998, 105). ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც მოხდა პაპლოლოგია, დაიკარგა მარცვალი, უნდა გვქონოდა „ღვა[ბა]ჩაჲ“ და დარჩა კი „ღვაჩაჲ“. რაც შეეხება ტოპონიმ - „ღვაჩაჲ“-ს ეტიმოლოგიას, იგი შეიძლება ასე აიხსნას: ეს ადგილი შესაძლოა ყოფილიყო ქარის საქროლი, ან ავადმყოფობის გამომწვევი ქარებიანი ადგილი. მით უმეტეს ამ მოსაზრებას მხარს უჭერს აქარულშივე დადასტურებული არაერთი შინაარსის ტოპონიმი. ქარისსაქროლი - სახნაუი (მაწყალთა, შუახევის რ-ნი), ქარისსაქროლი - ჩაქვი, ხალა (ი.სიხარულიძე, 1959, 52).

ამდენად, ზანურ ლექსიკურ სუბსტრატზე დაკვირვება და მათი კვლევა მომავალშიაც უთუოდ ბევრ საინტერესო სიახლეს წარმოგვიჩენს. ასეთია ტოპონიმ „ღვაჩაჲ“-ს ეტიმოლოგიური ახსნის ჩვენეული ცდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მარი, 1904 - Н.Я.Март. Из поездки в Турецкой Азизстан, С.П. 1904
2. ნიყარაძე, 1971 - შ.ნიყარაძე, აქარული დიალექტი, ბათ. 1971

3. ბსკიდა - ბათუმის ნ.ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დიალექტოლოგიური არქივი.
4. სიხარულიძე, 1959 - ი.სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, წიგნი II, ბათ., 1959
5. ჩიქობავა, 1938 - არნ.ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938
6. ცხადაია, 1998 - პ.ცხადაია, ჰაპლოლოგიისათვის მეგრულში, არნ.ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998
7. ჯავახიშვილი, 1913 - ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, ტფ., 1913

NARGIZ AKHVLEDIANI

ON THE ETIMOLOGY OF A PLACE NAME

“Gvacha”, “Gvachai” are place-names attested, correspondingly, in the village of Matskhvalta, Shuakhevi district and Chakvi, Kobuleti district, Achara. The etimology can be related to and explained with Laz “Gvabacha”//“gvabara” and gvabuja (cf.:*gabuja-qbaqura* lexical units of Acharian dialect).